ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

სოფელი არხილოსკალო

2019 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქონლის შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს „ Smart Choice"-ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი / მაია სიმონიძე /

მიმწოდებლის შერჩევში მონაწილე პირი: / ნინო შიუკაშვილი /

ხელშეკრულება №6

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია სიმონიძეს სახით და მეორეს მხრივ, შპს „ Smart Choice “, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ ჯაფარიძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:"

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატურის შესყიდვა და მონტაჟი. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.CPV 32333200, 44300000,98300000

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2255 (ორიათასორასორმოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე .

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა ს/კ 228537508 მის: ქ. დედოფლისწყარო, სოფ. არხილოსკალო ტელ: 577315794 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი 220101453 ა/ა GE45LB0121124300526000 დირექტორი მაია სიმონიძე	მიმწოდებელი: შპს “ Smart Choice” ს/კ 404944245 მის.: ქ. თბილისი , მიტროფანე ლაღიძის ქ.6 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE85TB7948436020100003 დირექტორი ვასილ ჯაფარიძე

Smart Choice LTD Digitally signed by Smart Choice LTD
Date: 2019.06.28 11:58:01 +04'00'

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	AHD კამერ HTC (ანალოგიური)	ცალი	5	145	725
2	8 არხიანი ჩამწერი HTC (ანალოგიური)	ცალი	1	398	398
3	ვინჩესტერი ITB	ცალი	1	288	288
4	კვების ბლოკი	ცალი	2	42	84
5	ინსტალაცია	ცალი	5	50	250
6	კაბელი	ცალი	300	1,40	420
7	ტრანსპორტირება	ცალი	1	90	90
	სულ ღირებულება				2255 ლარი

სსიპ არხილოსკალოს საჯარო
სკოლის დირექტორი / მარია სიმონიძე /

შპს „ Smart Choice“ / ვასილ ჯაფარიძე /

Smart Choice LTD Digitally signed by Smart Choice LTD
Date: 2019.06.28 11:57:48 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

2019 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „Smart Choice" დირექტორი ვასილ ჯაფარიძე, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მაია სიმონიძეს სახით ამ აქტით ვადასტურებთ, არხილოსკალოს საჯარო სკოლამ ჩაიბარა შემდეგი სახის მომსახურება/პროდუქცია მომსახურება/პროდუქცია

№	მომსახურების/პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	AHD კამერა HTC (ანალოგური)	5	145	725
2	8 არხიანი ჩამწერი HTC (ანალოგური კამერებისთვის)	1	398	398
3	ვინჩესტერი 1TB	1	288	288
4	კვების ბლოკი	2	42	84
5	ინსტალაცია	5	50	250
6	კაბელი	300	1.4	420
7	ტრანსპორტირება	1	90	90
	სულ ფასი (დღგ ჩათვლით)			2255

შემსყიდველი

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის

სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა

მის: დედოფლისწყაროს რაიონი სოფ.

არხილოსკალო

ს/კ 228537508

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს „ ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა GE45LB0121124300526000

ტელ: 577 31 57 94

მიმწოდებელი:

შპს „ Smart Choice"

მის.: თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. 6

ოფისი: 032 219 5 219

გაყიდვები:

ს/კ: 404944245

Email: info@smartchoice.ge

Site: Smartchoice.ge

FB: Facebook.com/SmartChoiceElecntronics

თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ა.ა **GE 85 TB 7948436020100003**

Smart Choice LTD

Digitally signed by Smart Choice LTD
Date: 2019.06.28 11:57:26 +04'00'